საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 19 05/04/2021

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს რეგისტრაციის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 აპრილის N 50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63 - ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -მწვანეები“- ს სახელის გადარქმევისა და ფრაქციისათვის „მოძრაობა ხარაგაულისათვის“ სახელის დარქმევის გამო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული , სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე შეტანილი იქნეს ცვლილება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 აპრილის N50/11 განკარგულებაში.

1. განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

   „სათაური „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მოძრაობა ხარაგაულისათვის“-ს რეგისტრაციის შესახებ“

2. შეტანილ იქნეს ცვლილება განკარგულების პირველ მუხლში და ცამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

.„მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული , სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ მოძრაობა ხარაგაულისათვის “

დაფუძნებისა და ფრაქციის თავმჯდომარედ აკაკი ლურსმანაშვილის არჩევის შესახებ.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე